

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #8

2022 წელი, 17 მარტი, 19:00 საათი

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, მამუკა გუგუშაშვილი, ლილე ლიპარტელიანი, მიხეილ კაკაურიძე, ზაზა თავაძე, მიხეილ კაკაურიძე, საბა ზუაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე,

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

დავით ფაჩულია - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი
ოთარ ჩიტინიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე
ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე
ირაკლი თავართქილაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი
მარიამ კვერნაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე
ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-03220554-03 24.02.2022)

2.	<p>„ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „მს ბილდერისთვის“ (ს.ნ: 405427765) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ (საკრებულოს №12-032207587-03 – 16.03.2022)</p>
3.	<p>„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ (საკრებულოს №12-032207590-03 – 16.03.2022)</p>
4.	<p>„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032205552-03 24.02.2022; N12-03220553-03 24.02.2022; №12-03220486-03 17.02.2022; 12-032206170 02.03.2022; 12-03220701-03 - 11.03.2022; 12-032207562-03 - 16.03.2022; 12-032204063-03 09.02.2022 (გადადებული ბ.გ.ვ.ზ,თ პოზიციები) 12-03220692-03 - 10.03.2022; 16-032206916-03 - 10.03.2022</p>
5.	<p>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032206920-03 - 10.03.2022)</p>
6.	<p>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უზნებად დაყოფის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032206920-03 - 10.03.2022)</p>

7.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032206919-03 - 10.03.2022; 16-032207581-03 - 16.03.2022)
8.	„ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ. ჯავახიშვილის ქუჩა N11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა N20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.15.04.003.048; N01.15.04.003.005; N01.15.04.003.044; N01.15.04.003.008; N01.15.04.003.013; N 01.15.04.003.024) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-03220631-03 04.03.2022)
9.	„ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ., ქალაქი თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა N9, N11ა, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.013.025; N01.13.01.013.010; N01.13.01.013.028; N01.13.01.013.027; N01.13.01.013.012; N01.13.01.013.006; N01.13.01.013.026; N01.13.01.012.056; N01.13.01.012.058; N01.13.01.007.054) საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N368 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №12-032206171-03 02.03.2022)
10.	ქალაქ თბილისში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩა, N33, N35, N37, N39, N41; ქალაქ თბილისში, ავშნიანში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.13.40.023; N72.13.40.019; N72.13.40.020; N72.13.40.021; N72.13.40.022; N72.13.40.024; N72.13.40.026) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032206169-03 02.03.2022)
11.	„ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N215, N217-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.007.711; N01.72.14.007.710) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №12-0322056103-03 25.02.2022)
12.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.11.505; N81.02.11.506; N81.02.11.507; N81.02.38.266) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №12-03220566-03 25.02.2022)

13.	„ქალაქ თბილისში, გლდან-ნაძალადევის რაიონი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტოვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 თებერვლის N01/90 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032205583-03 24.02.2022)
14.	„ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქ., წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის N214 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე.(საკრებულოს №12-0322055104-03 24.02.2022)
15.	ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 72.16.22.516) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №12-0322055105-03 24.02.2022)
16.	„ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032205388-03 22.02.2022)
17.	ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.209; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.957; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032206959-03 - 10.03.2022)
18.	ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. 003/021) (საკადასტრო კოდები: N01.19.24.003.066; N01.19.24.003.067) საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032206958-03 - 10.03.2022)

19.	ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N88 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032206956-03 - 10.03.2022)
20.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032206933-03 - 10.03.2022)
21.	ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული,სასაწყობე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032206921-03 - 10.03.2022)
22.	ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.08.31.744; N81.08.31.587; N81.08.31.331) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03220351-03 04.02.2022)
23.	სოფელ გლდანში; ქალაქი თბილისი , სოფელი გლდანი , "ავშნიანში" არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.13.41.020; N72.13.41.012; N72.13.38.245; N72.13.41.009; N72.13.41.712; N72.13.41.713; N72.13.41.402; N72.13.41.016; N72.13.41.744; N72.13.41.043; N72.13.41.042; N72.13.41.663; N72.13.38.143; N72.13.41.479; N72.13.41.481; N72.13.41.055; N72.13.41.045; N72.13.41.522; N72.13.41.405; N72.13.41.171; N72.13.41.493; N72.13.41.428; N72.13.41.404; N72.13.41.625; N72.13.41.414; N72.13.41.044; N72.13.41.398; N72.13.41.492) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032203544-03 04.02.2022)
24.	ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, ზაქარია ბაქრაძის ქუჩა, N12გ, N12დ, 12ა, 12ბ; ქალაქი თბილისი, დაბა კოჯორი, რაფიელ ერისთავის I ჩიხი, N9 -ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.01.17.047; N81.01.17.052; N81.01.17.049; N81.01.17.050; N81.01.17.223; N81.01.17.051) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №16-032207560-03 - 16.03.2022)

25.	ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N152 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №16-032207582-03 - 16.03.2022)
26.	ქალაქ თბილისში, ლოდობერიძის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: N01.18.13.020.063) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032207583-03- 16.03.2022)
27.	ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა N6, N7, მარშალ გელოვანის გამზირი N23გ, N27, N23, N23ა, N23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023; N01.10.10.025.036; N01.10.10.025.045; N01.10.10.025.069; N01.10.10.025.070; N01.10.10.025.071; N01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულგამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N118 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032207597-03 16.03.2022)
28.	„ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.129-ის ნაწილი; N01.12.01.005.051; N01.12.01.005.091; ნაკვეთი: N5/50, N5/51, N005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032207598-03 16.03.2022)
29.	ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაჟისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი 14/174); ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი 3, მიკრო/რაიონი IV მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.014.174; N01.19.36.016.765) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-0322075100-03 16.03.2022)
30.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N31 (ს/კ: N01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ბაგები რეზიდენსის“ (ს/ნ 405446209) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03220751-03 - 16.03.2022)

31.	<p>„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, მუხიანისა და გლდანისკენ მიმავალ გზაზე, ბოლო საცხოვრებელი სახლის მიმდ. (ნაკვეთი N2/40); დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი I, N137 ბაგა-ბადის და ავტოგასამართ სადგურს შორის (ნაკვეთი N2-72) (ს/კ: N01.11.13.002.072) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (ს/ნ 202161098) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03220751-03 - 16.03.2022)</p>
32.	<p>„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ. N54 (ს/კ: N01.10.06.001.221) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ედემის“ (ს/ნ 405098727) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03220751-03 - 16.03.2022)</p>
33.	<p>„ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „იერი ჯგუფის“ (ს/ნ 404626785) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-0322075104-03 - 16.03.2022)</p>
34.	<p>„ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „ნიუ სითის“ (ს/ნ 404516582) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-0322075104-03 - 16.03.2022)</p>

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოდების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-03220554-03 24.02.2022)

საკითხი წარმოადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორმა დავით ფაჩულიამ. მისი თქმით, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლების შემოდების, გაუქმებისა და მათზე შედეგების დაწესების უფლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დაწესებულია მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე. საგულისხმოა, რომ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა, დღემდე არ იყო გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტებისათვის, რომლებსაც ინერტულ (სამშენებლო) ნარჩენებთან ერთად წარმოექმნებათ დიდი რაოდენობით მუნიციპალური (საყოფაცხოვრებო) ნარჩენები, რომელიც ხვდება მუნიციპალიტეტის მიერ განთავსებულ კონტეინერებში და რომელთა გატანასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა რომ ეს პირები (სამშენებლო ნებართვის მქონე პირები) უნდა აღირიცხონ როგორც მოსაკრებლის გადამხდელები და მათ მიერ გადახდილ უნდა იქნას შესაბამისი მოსაკრებელი. რაც შეეხება მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრას, ამ მიზნით განხორციელდა დედაქალაქში მოქმედი სამშენებლო ობიექტების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გაანგარიშება (ქრონომეტრაჟი), დადგენილების პროექტით წარმოდგენილი სამშენებლო ობიექტების კატეგორიების მიხედვით, რომლის შესაბამისადაც დადგინდა, მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა. წარმოქმნილი ნარჩენების შესაბამისი მოსაკრებლის გაანგარიშებისათვის წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა გადაყვანილი იქნა ზომის ერთეულზე (კ-2 საანგარიშო ფართობის მეტრ კვადრატით) და შეეფარდა მოსაკრებელი ოცდახუთი ლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობების ფარგლებში. დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელია პირი, რომლის საქმიანობის შედეგადაც წარმოიქმნება ნარჩენები. შესაბამისად, პროექტით (დადგენილების დანართი 2-ის 30-ე - 33-ე გრაფა) გათვალისწინებულია დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა სამშენებლო ობიექტებზე. წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედ სამშენებლო ობიექტებს დაუწესდებათ დასუფთავების მოსაკრებლის კონკრეტული განაკვეთები. პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, პროექტის მიღება მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის

საშემოსავლო ნაწილზე. გაიზრდება მოსაკრებლის სახით შემოსული თანხების ოდენობა. პროექტის მიღება წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში, კერძოდ სამშენებლო ნებართვის მფლობელი პირები.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ (საკრებულოს №12-032207590-03 – 16.03.2022)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში - „სააგენტო“) და შპს „ვარკეთილი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405323699) (შემდგომში - „კომპანია“) შორის, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად შპს „ვარკეთილი დეველოპმენტი“-ს (ს/კ 405323699) გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N19.417.543 განკარგულების საფუძველზე, 2019 წლის 28 ივნისს გაფორმდა „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ“ იმპლემენტაციის ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“). ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, იმპლემენტაციის ხელშეკრულების საგანია შენობა-ნაგებობების მშენებლობა და მუნიციპალიტეტისთვის, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის ტერიტორიაზე ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახების დაკმაყოფილების მიზნით, 7545 (შვიდი ათას ხუთას ორმოცდახუთი) კვ.მ ჯამური ფართის მქონე საცხოვრებელი ბინების გადაცემა იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს კომპანიას ქალაქ თბილისში, მასივი III (ნაკვ. 20/025) მდებარე 30205.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს (ს/კ N01.19.20.020.025). დღეის მდგომარეობით, N01.19.20.020.025 საკადასტრო ერთეულის დაყოფის შედეგად ფორმირებულია შემდეგი მიწის ნაკვეთები:

ს/კ N01.19.20.020.077 - საერთო ფართობი 4984.00 კვ.მ;

ს/კ N01.19.20.020.080 - საერთო ფართობი 4474.00 კვ.მ;

ს/კ N01.19.20.020.083 - საერთო ფართობი 4638.00 კვ.მ;
ს/კ N01.19.20.020.122 - საერთო ფართობი 4838.00 კვ;
ს/კ N01.19.20.020.123 - საერთო ფართობი 11271.00 კვ.მ;
ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე, ამ ხელშეკრულების დადებიდან შემდეგ ვადებში:
I ლოტზე ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 6 თვეში (28/12/2019) -შესრულებულია (01.19.20.020.077)
II ლოტზე ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 12 თვეში (28/6/2020) -შესრულებულია (01.19.20.020.080)
III ლოტზე ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 18 თვეში (28/12/2020) -შესრულებულია (01.19.20.020.083)
IV ლოტზე ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 24 თვეში (28/6/2021) - ს/კ N01.19.20.020.122 (მშენებლობის ნებართვა გაცა 30.12.2021წელს)
V ლოტზე ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 30 თვეში (28/12/2021) - ს/კ N01.19.20.020.123 (არ არის გაცემული ნებართვა)
ხელშეკრულების 8.1.4. ქვეპუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში განცხადებით მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს იმ საცხოვრებელი კორპუს(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, რომელშიც განთავსებულია საცხოვრებელი ბინები.
ხელშეკრულების მე-13 პუნქტის თანახმად, ასაშენებელი/აშენებული შენობა-ნაგებობ(ებ)იდან ფართების გასხვისების სურვილის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, თითოეულ ლოტზე მშენებლობის დაწყებიდან არაუმეტეს 90 (ოთხმეცხრამეტი) კალენდარული დღის ვადაში აცნობოს სააგენტოს, რომ სურს შესაბამის ლოტზე ფართების გასხვისება და ფართების გასხვისებამდე წარმოადგინოს სამშენებლო საბანკო გარანტია.
ხელშეკრულების მე-16 პუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია, იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს შენობა-ნაგებობიდან 7545 კვადრატული მეტრის ჯამური ფართის უფლებრივად უნაკლო საცხოვრებელი ბინები ე.წ თეთრი კარკასის მდგომარეობით.
ხელშეკრულების 25-ე პუნქტის თანახმად, კომპანიის მიერ თითოეულ სამშენებლო ფაზის ფარგლებში ხელშეკრულების V ნაწილის შესაბამისად, გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გარდა ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულებისა. ქონების შემქმნმა 2021 წლის 28 მაისის N10/0121148763-61 და 2022 წლის 7 მარტის N10/01220664212-61 განცხადებებით მიმართა სააგენტოს დაგანმარტა, რომ შემოადინიშნული ხელშეკრულებით განკარგულ მიწის ნაკვეთზე, ამავე ხელშეკრულების გაფორმებამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმარ შეესაბამებოდა რეგისტრირებულ საკადასტრო საზღვრებს და საჭიროებდა კორექტირებას, რაც თავისთავად აფერხებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული IV და V ლოტებისთვის მიკუთვნებული ნაკვეთების დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულებად რეგისტრაციისა და შესაბამისად თითოეული ლოტის ფარგლებში მშენებლობის ნებართვის აღების პროცესს. მითითებული გარემოებებისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება მიმდინარეობს მსოფლიო პანდემიის პირობებში, კომპანიამ ითხოვა ხელშეკრულების გარკვეული პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გაგრძელება და IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო,

ხელშეკრულების 25-ე პუნქტით დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

აღსანიშნავია, რომ „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპი) პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 29 სექტემბრის N21.1360.1533 განკარგულების თანახმად, ხელშეკრულებით განკარგულ მიწის ნაკვეთზე, ამავე ხელშეკრულების გაფორმებამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების მიზანს წარმოადგენდა საპროექტო არეალის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ, განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების მომენტისათვის საპროექტო არეალში შევიდა მცირე მონაკვეთი, რომელიც იყო დაურეგისტრირებელი და დარეგისტრირების შემდეგ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ერთიან ნაწილს აღარ წარმოადგენდა, შესაბამისად, მოხდა კონტურისა და გასამიჯნი წითელი ხაზების კორექტირება. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული განაშენიანების რეგულირების პროექტი დამტკიცებულ იქნა „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპი) პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N509 განკარგულების საფუძველზე.

ქონების შემძენს ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, IV ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების 25-ე პუნქტის თანახმად, 2021 წლის 28 ივნისიდან - 2021 წლის 30 დეკემბრამდე (ვინაიდან, IV ლოტზე მშენებლობის ნებართვა გაიცა არქტიექტურის სამსახურის 2021 წლის 30 დეკემბრის N5749986 ბრძანების საფუძველზე) ეკისრება პირგასამტეხლო - 370 000 (სამას სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

ქონების შემძენს ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, V ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების 25-ე პუნქტის თანახმად, 2021 წლის 28 დეკემბრიდან 2022 წლის 15 მარტამდე ეკისრება პირგასამტეხლო - 156 000 (ას ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით. ამასთან, პირგასამტეხლოს დენა გრძელდება სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის შეთანხმების გაფორმების დღემდე (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2000 ლარის ოდენობით).

ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოადგენდა კომპანიისგან დამოუკიდებელ, თუმცა, განსახორციელებელი სამუშაოების შემაფერხებელ მიზეზს, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მიერ შესაბამისი (თავდაპირველი) განცხადება წარმოდგენილ იქნა დროულად, ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე, მხარეთა შეთანხმებით, მიზანშეწონილია დაკმაყოფილდეს კომპანიის მოთხოვნა და ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ხელშეკრულებას დაემატება 1.16 პუნქტი და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „1.16. განაშენიანების რეგულირების გეგმა - ამ ხელშეკრულების დანართი N3-ით გათვალისწინებული

განაშენიანების რეგულირების გეგმა, „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპი) პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N509 განკარგულებით, მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით“.

8.1.1. ქვეპუნქტის მიხედვით, IV ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადად განისაზღვრებანებართვის ფაქტობრივად მოპოვების თარიღი - არაუმეტეს 2021 წლის 30 დეკემბერი, ხოლო V ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადად განისაზღვრება - არაუმეტეს 2022 წლის 19 ოქტომბერი;

8.1.4. ქვეპუნქტსა და მე-16 პუნქტში, საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის მიმართვისა და მუნიციპალიტეტისთვის ფართების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ვადა, 36 თვის ნაცვლად, განისაზღვრება 42 თვით;

მე-13 პუნქტის ცვლილებით, გაუქმდება სააგენტოსთვის ფართების გასხვისების თაობაზე მოთხოვნის წარსადგენად განსაზღვრული მაქსიმალური 90 (ოთხმოცდათი) დღიანი ვადა, თუმცა უცვლელი რჩება საბანკო გარანტიის წარმოდგენის ყველა პირობა და წესი.

გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ხელშეკრულების დანართ #1-ში და მასში მითითებული ხელშეკრულების 1.13 პუნქტი შეიცვალოს 1.14 პუნქტით.

ამასთან, საკრებულოს წარედგინება საკითხი ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული, IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 25-ე პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შპს „ვარკეთილი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 405323699) გათავისუფლების თაობაზე.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად

3. „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „მს ბილდერისთვის“ (ს.ნ: 405427765) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ (საკრებულოს №12-032207587-03 – 16.03.2022)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე. წ. ყოფილი კოოპერატიული

ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“) განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2021 წლის 15 ოქტომბრიდან 2021 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 2371 კვ.მ.) პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 3.5-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6), ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 850 კვ.მ-ით. აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობა მიიღო ერთმა დაინტერესებულმა პირმა - შპს „მს ბილდერი“ (ს.ნ.: 405427765), რომელმაც წარმოადგინა 900 კვ.მ ფართის შეთავაზება. ასევე წარმოდგენილი ჰქონდა ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაცია. შესაბამისად გამარჯვებულად გამოცხადდა - შპს „მს ბილდერი“. სამშენებლო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირებისას, სააგენტომ იხელმძღვანელა „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით, რომლითაც დადგენილია კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებისას რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. კერძოდ, მითითებული განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ორი კრიტერიუმით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ქულით ან/და ტერიტორიულობის პრინციპით. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტი ადგენს გამონაკლისსაც და განსაზღვრავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, დაზარალებულ პირთა რიგითობა განსაზღვროს ამ ორი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (11 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის, სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, თითოეული მათგანისათვის განსაზღვრული ფართის ოდენობის გათვალისწინება შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ფართის ჯამურად განსაზღვრულ ოდენობაში (900 კვ.მ კვ.მ-ში). ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი

საცხოვრებელი ფართის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო მათთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრულია გადასაცემი საცხოვრებელი ფართების პროპორციულად. სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივის წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის ოდენობას (ამ შემთხვევაში 900 კვ.მ-ს). დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკრებულოში წარმოდგენილია „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაოსამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლელებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „მს ბილდერისთვის“ (ს.ნ: 405427765) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას თანხმობა ეძლევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 მარტის N22.340.377 განკარგულებით გათვალისწინებული N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მდებარე: ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ), ამავე განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის, სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032205552-03 24.02.2022; N12-03220553-03 24.02.2022; №12-03220486-03 17.02.2022; 12-032206170 02.03.2022; 12-03220701-03 - 11.03.2022; 12-032207562-03 - 16.03.2022; 12-032204063-03 09.02.2022 (გადადებული ბ.გ.ვ.ზ,თ პოზიციები) 12-03220692-03 - 10.03.2022; 16-032206916-03 - 10.03.2022

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032205552-03 24.02.2022; N12-03220553-03 24.02.2022; №12-03220486-03 17.02.2022; 12-032206170 02.03.2022; 12-03220701-03 - 11.03.2022; 12-032207562-03 - 16.03.2022; 12-032204063-03 09.02.2022 (გადადებული ბ.გ.ვ.ზ,თ პოზიციები) 12-03220692-03 - 10.03.2022; 16-032206916-03 - 10.03.2022) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა, ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტინემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 44 წინადადება და პროექტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

№12-032205552-03 24.02.2022;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.30.055; N81.02.30.026; N81.02.03.551; N81.02.30.056; N81.02.30.027; N81.02.30.028; N81.02.30.057; N81.02.30.061; N81.02.30.004; N81.02.30.060; N81.02.30.059; N81.02.30.058; N81.02.30.062) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სააგარაკე დასახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N293 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის გასწორებისა და არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-თან (ტზ-1) ლოგიკური კავშირის გაჩენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ჩრდილოეთით სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.30.055; N81.02.30.026; N81.02.03.551; N81.02.30.056; N81.02.30.027; N81.02.30.028; N81.02.30.057; N81.02.30.061; N81.02.30.004; N81.02.30.060; N81.02.30.059; N81.02.30.058; N81.02.30.062) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარედსარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ქუჩა ხევძმარი, N1-ის მიმდებარედ და ილია ვეკუას ქუჩა, N11გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.13.001.121 და N01.11.13.001.122) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ხევძმარი, N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის

ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N50 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქუჩა ხევძმარი, N1-ის მიმდებარედ და ილია ვეკუას ქუჩა, N11გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.11.13.001.121 და N01.11.13.001.122) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N14-14-გ-14დ-14ე; პეტრე ქავთარაძის ქუჩა N18ა-20-20ა-20ბ-20გ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.337, N01.14.03.040.338, N01.14.03.040.339, N01.14.03.040.340, N01.14.03.040.331, N01.14.03.040.341, N01.14.03.040.334, N01.14.03.040.335 და N01.14.03.040.336) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე N34-ში, N38-აში და ქავთარაძის ქუჩა N5-ში, ამხანაგობა „ქავთარაძე 2005“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, სავაჭროსაყოფაცხოვრებო ფუნქციის ობიექტები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 4 ივნისის N01/551 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N51 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა დარჩენილ მონაკვეთზე ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N14-14- გ-14დ-14ე; პეტრე ქავთარაძის ქუჩა N18ა-20-20ა-20ბ-20გ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.337, N01.14.03.040.338, N01.14.03.040.339, N01.14.03.040.340, N01.14.03.040.331, N01.14.03.040.341, N01.14.03.040.334, N01.14.03.040.335 და N01.14.03.040.336) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარედ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღება;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.423, N72.16.23.440, N72.16.23.441, N72.16.23.428, N72.16.23.427, N72.16.23.424, N72.16.23.425, N72.16.23.412) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.423, N72.16.23.440, N72.16.23.441, N72.16.23.428, N72.16.23.427, N72.16.23.424, N72.16.23.425, N72.16.23.412) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N45 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თბინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.423, N72.16.23.440, N72.16.23.441, N72.16.23.428, N72.16.23.427, N72.16.23.424, N72.16.23.425, N72.16.23.412) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, გედევანიშვილის ქუჩა N25-ში, N25 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.07.002.041; N01.16.07.002.040) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქ. თბილისში, გედევანიშვილის ქ. N25-ში, N25 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.16.07.002.002, 01.16.07.002.025), შერეული ტიპის უბნის (საცხოვრებელი და საზოგადოებრივ-საქმიანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 26 მარტის N543 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N49 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა დარჩენილ მონაკვეთზე ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გედევანიშვილის ქუჩა N25-ში, N25 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.07.002.041; N01.16.07.002.040) და მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N65 და მისი მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.038.040; 01.17.13.038.042; 01.17.13.038.049 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი სივრცე) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის N65 ში (ნაკვ. 038/017; 038/018); ქალაქ თბილისში, ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.040; 01.17.13.038.042; 01.17.13.038.049) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N44 ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა დარჩენილ მონაკვეთზე ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის N65 ში (ნაკვ. 038/017; 038/018) ქალაქ თბილისში, ჭრელაშვილის ქ. N4-

ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.040; 01.17.13.038.042; 01.17.13.038.049) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

ზ) ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.01.007.399; N01.14.01.007.380-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოხთოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.01.007.399; N01.14.01.007.380-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N46 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა დარჩენილ მონაკვეთზე ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.01.007.399; N01.14.01.007.380-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

N12-03220553-03 24.02.2022;

ა) ქალაქ თბილისში, ორთაჭალის ტურფას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.201) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 9 თებერვლის N01220401429 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა N01.17.14.003.201 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, N01.17.14.003.201 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონის (სზ) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 18 თებერვლის N18-01220491086 წერილის მიხედვით, თანახმაა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

ინიციატივით წარდგენილ არეალზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ორთაჭალის ტურფას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.201) ნაწილზე და მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N84-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.007.037) ნაწილზე მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 21 თებერვლის N0122052479 წერილის შესაბამისად თანახმაა, წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა იმ პირობით, რომ საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში შენარჩუნებულ იქნას მასზე განთავსებული მწვანე ნარგავები. ამასთანავე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), რაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას წარმოადგენს. შესაბამისად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, მიზანშეწონილია განხორციელდეს ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.13.02.007.037 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N84-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.007.037) ნაწილზე და მიმდებარედ სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების პირობით მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N81.02.18.663 და N81.02.18.728) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1)

ნაწილის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2022 წლის 23 თებერვლის N01220541350 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრებში ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება განხორციელდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ არის დატვირთული სერვიტუტით. ამასთანავე, მიზანშეწონილად მიიჩნევა, არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტდეს და გავრცელდეს N81.02.18.663, N81.02.18.728, N81.02.12.697 და N81.02.12.790, N81.02.18.792, N81.02.18.793 საკადასტრო ერთეულებს შორის მდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე არსებულ ფაქტობრივ გზაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავეკისში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N81.02.18.663 და N81.02.18.728) სერვიტუტს მიღმა ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა N73-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.280) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიადის ეროვნული სააგენტოს შენობის განთავსება წარმოადგენს, რომელსაც წარმოადგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კვლევით-საოფისე (ადმინისტრაციული) შენობა-ნაგებობის ფუნქცია ექნება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.280) სამხრეთით ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.280) სამხრეთით მიმდებარე არეალზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით, შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ასევე, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.280) აღმოსავლეთით, N01.14.05.008.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ვინაიდან, აღნიშნულ - N01.14.05.008.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხარვეზის გასწორების და ფუნქციური ზონის ლოგიკური გაგრძელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 17 თებერვლის N18-01220482653 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.008.280-ის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია) განცხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური

რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ასევე, ვინაიდან, N01.14.05.008.280 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით 2022 წლის 8 თებერვლის N06-01220393236-16 დადებით პოზიციას აფიქსირებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, იმ პირობით, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება და არ გაუარესდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მდგომარეობა/ღირებულება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა N73-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.280) ნაწილზე და მიმდებარედსარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, ომარ ფხაკაძის ქუჩა, N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.110) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა. N01.14.05.008.110 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა. ფრაგმენტული ხასიათის ცვლილებისგან თავის არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.14.05.008.110 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 21 თებერვლის N18-0122052475 წერილის მიხედვით, თანახმაა, საპროექტო არეალზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ომარ ფხაკაძის ქუჩა, N49-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.110) და მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ახალდაბის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.085.040) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2)

საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ფრაგმენტული ხასიათის ცვლილებისგან თავის არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ (N01.20.01.085.041 და დაურეგისტრირებელი ტერიტორია) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 21 თებერვლის N18-0122052454 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.085.040; N01.20.01.085.041 და დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ახალდაბის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.085.040) და მიმდებარედსარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანის, გრიგოლ ორბელიანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.28.873) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანსა და სააგენტოს მშენებლობა წარმოადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 17 თებერვლის N01220482453 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო N72.13.28.873 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანის, გრიგოლ ორბელიანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.28.873) და მიმდებარედ სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, კაკაბეთის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.054.004 და N01.17.09.054.015) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1)

საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან 2022 წლის 28 იანვრის N0122028865-16 განცხადების ფარგლებში შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, რის მიხედვითაც მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 22 თებერვლის N01220531031 წერილის მიხედვით, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური ფუნქციური ზონის ცვლილებას, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებას მიზანშეწონილად მიიჩნევს საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე. კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იმ მონაკვეთებზე, სადაც სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტროტუარზე, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (N16-01220342861; 03/02/2022) შესაბამისად. ხოლო, საპროექტო მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრების დარჩენილ ნაწილში, სამსახური ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება ხორციელდება მოთხოვნილი საპროექტო არეალის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელზეც შეთანხმებული სქემის მიხედვით ტროტუარი არ არის გათვალისწინებული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კაკაბეთის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.17.09.054.004 და N01.17.09.054.015) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

№12-03220486-03 17.02.2022;

ა) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.01.700) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 8 თებერვლის N01220393088 წერილის მიხედვით, ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3), სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა. წინამდებარე დადგენილებით მიღებული ზიანის ანაზღაურებაზე მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.01.700) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ალექო შენგელიას ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.047.004) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

2022 წლის 11 იანვრის N0122011343 წერილის მიხედვით, ვინაიდან, მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება არ წარმოადგენს სატრანსპორტო ზონის კონფიგურაციის არსებით ცვლილებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალგო შენგელიას ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.047.004) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ქუჩა გორგასალი, N8, (ნაკვ.01/058); ქალაქი თბილისი, გ. გულუას ქუჩის დასაწყისში; გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისი (ნაკვეთი 01/045); ქალაქი თბილისი, გულუას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.100) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 14 თებერვლის N0122045626 წერილის მიხედვით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარების მიზნების გათვალისწინებით, საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებას აღმოსავლეთ ნაწილში მიიჩნევენ. ხოლო, ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. *კომისიაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ მითითებული ზონის ცვლილების განხილვა ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნას.*

დ) ქალაქ თბილისში, ჟინვალის ქუჩა N35/15-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.09.014.012) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ნაწილის ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 თებერვლის N0122042635 წერილის მიხედვით, მიზანშეწონილად მიიჩნევენ სატრანსპორტო ზონის ნაწილობრივ ცვლილებას, კერძოდ, საკადასტრო ერთეულის საზღვრებში გავრცელებულ მხოლოდ იმ მონაკვეთზე, რომელიც არ არის დატვირთული სერვიტუტით. სერვიტუტით დატვირთულ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჟინვალის ქუჩა N35/15-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.12.09.014.012) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), გარდა სერვიტუტით დატვირთული ნაწილისა, ცვლილება საცხოვრებელი ზონით (სზ) მისაღებია. ე) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში, მიმდებარედ (ნაკვეთი 09/177) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.650; N01.72.14.009.667) მოთხოვნილია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-

ის (რზ-2) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 15 თებერვლის N01220462995 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ- 2) ფენა. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 თებერვლის N01220461328 წერილის მიხედვით, ვინაიდან, საპროექტო მონაკვეთს ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია და წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების წინააღმდეგი არ არის. ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, დაფიქსირებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) წყვეტის თავიდან არიდების მიზნით და სისტემული სახით ცვლილების მიზნობრიობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით განხორციელდა მიმდებარედ არსებულ ფაქტობრივ გზაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში, მიმდებარედ (ნაკვეთი 09/177) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.650; N01.72.14.009.667) და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

№12-032206170-03 - 02.03.2022;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ჩარგალეთის II შესახვევში N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.028.116) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 4 თებერვლის N0122035418 წერილის მიხედვით, საკადასტრო ერთეულის საზღვრებში, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გაუქმდეს იმ მონაკვეთზე, სადაც სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია ფაქტობრივ შენობანაგებობებზე და შემოღობილ ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ჩარგალეთის II შესახვევში N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.028.116) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, მარნეულის გზატკეცილი, ფერდობი N1 (ნაკვეთი 09/008) მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.12.009.008) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მომართვის მიზნობრიობას წარმოადგენს N01.18.12.009.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და

მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ნაწილზე სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 22 თებერვლის N01220533226 წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენები სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრასპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 1 მარტის N0122060943 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრასპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ამასთან, მიზანშეწონილია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მარნეულის გზატკეცილის მხარეს გათვალისწინებული იყოს არანაკლებ 2.5 მეტრის სიგანის ტროტუარები პერსპექტიული ტროტუარისთვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, მარნეულის გზატკეცილი, ფერდობი N1 (ნაკვეთი 09/008) მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.12.009.008) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

№12-03220701-03 - 11.03.2022;

ქალაქ თბილისში, ზაზა ფანასკერტელის ქუჩა N2-ის მიმდებარედ, ფანასკერტელის ქუჩა N22-ის მოპირდაპირედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.008.048) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს 149 კვადრატულ მეტრზე 2 სართულიანი შენობის (სარდაფით) განთავსება წარმოადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 7 მარტის N01220661485 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო მონაკვეთზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზაზა ფანასკერტელის ქუჩა N2-ის მიმდებარედ, ფანასკერტელის ქუჩა N22-ის მოპირდაპირედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.008.048) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია;

№12-032207562-03 - 16.03.2022;

ა) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ დიდებაში, ნასოფლარ კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.07.613) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო 26 ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 7 მარტის N01220661098 წერილით თანახმაა განხორციელდეს ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება. ვინაიდან,

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N81.01.07.613 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N81.01.07.613 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 9 მარტის N18-01220682591 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ დიდებაში, ნასოფლარ კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.07.613) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ქუჩა ქედის კომუნა N3-ში (ნაკვეთი N050/005 და ნაკვეთი N050/006) მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.050.005 და N01.17.12.050.006) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. საპროექტო მონაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს ერთადერთ მისასვლელს მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის. ასევე, ვინაიდან, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაციით და არსებული ფაქტობრივი გზით (ჩრდილოეთით) იქმნება ალტერნატიული კავშირი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2022 წლის 10 მარტის N01220694403 წერილით მიიჩნევს, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე ფუნქციური ზონის მოთხოვნილ ცვლილებას არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა მიმდებარე მიწის ნაკვეთებთან კავშირსა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარებაზე. ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქუჩა ქედის კომუნა N3-ში (ნაკვეთი N050/005 და ნაკვეთი N050/006) მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.050.005

და N01.17.12.050.006) ნაწილზე და მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;28

გ) ქალაქ თბილისში, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის N13-ის მიმდებარედ, II შესახვევი N6, გომიაშვილის ქუჩა N40ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.286) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს ქუჩის მონაკვეთს, რომელიც იმავდროულად, ქმნის მისასვლელ გზას მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის. შესაბამისად, გააჩნია მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ფუნქცია, მასზე გადაადგილდებიან საგზაო მოძრაობის მონაწილეები. აღნიშნულ მონაკვეთზე, განცხადებაში წარმოდგენილი კონფიგურაციით („SHP ფაილის“ მიხედვით) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდება მისი პარამეტრი (სიგანე), არსებითად შეიცვლება კონფიგურაცია, რაც უარყოფითად აისახება ჯეროვანი საგზაო კავშირის არსებობაზე. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2022 წლის 10 მარტის N01220694409 წერილით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.10.18.005.286 საკადასტრო ერთეულის ძირითად ნაწილზე და მიმდებარედ ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე კვლავ საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) ვრცელდება და განვითარებულია აღნიშნული ფუნქციით. შესაბამისად, სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას. ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის N13-ის მიმდებარედ, II შესახვევი N6, გომიაშვილის ქუჩა N 40ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.286) და მიმდებარედ სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკაში, ნავთისხევისმიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.24.013.001) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განცხადებაში მოთხოვნილი საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ განიხილება ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნის საკითხი და ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 16 მარტის N18-0122075265 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკაში, ნავთისხევის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.24.013.001) ნაწილზე 29 და მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩა N56ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.024.018) ნაწილზე და მიმდებარედ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. საპროექტო მონაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივად შემოღობილ ტერიტორიაზე, რომელსაც არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. განსახილველ ტერიტორიას არც სამომავლოდ აქვს აღნიშნული ფუნქციით განვითარების პერსპექტივა. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო საგზაო 2022 წლის 15 მარტის N01220743333 წერილით მოთხოვნილ მონაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩა N56ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.024.018) ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N134-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.012.093) მოთხოვნილია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 15 მარტის N01220743381 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N134-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.012.093) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ზ) ქალაქ თბილისში, კასპის ქუჩა, N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.356) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 14 მარტის N01220732864 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა (შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები). ზემოაღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე საგანმანათლებლო სასწავლო აუდიტორიების და საავადმყოფოს მშენებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით ფუნქციური ზონის ცვლილება ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედაც. *კომისიაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ მითითებული ზონის ცვლილების განხილვა ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნას.*

თ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.33.134) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ვინაიდან მოთხოვნილი ცვლილებით ხდება გზათა ქსელის ჩამოყალიბება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2022 წლის 9 მარტის N16-012206887 წერილის მიხედვით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების წინააღმდეგი არ არის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 14 მარტის N18-01220733820 წერილის მიხედვით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ფენა (რზ). ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.33.134) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შეოთავაზებულისარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.106.002, N01.20.01.106.003, N01.20.01.122.052, N01.20.01.122.106, N01.20.01.122.090) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატყეო ზონის და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. გამომდინარე იქიდან, რომ ფუნქციური ზონის ცვლილება მოთხოვნილია საპროექტო მიწის ნაკვეთების იმ ნაწილებზე, რომლებზეც ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია შენობანაგებობები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 16 მარტის N18-0122075259 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი, წარმოადგენილ არეალზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (სატყეო ზონა) მოხსნა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.106.002, N01.20.01.106.003, N01.20.01.122.052, N01.20.01.122.106, N01.20.01.122.090)

ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

